# დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ქ.დმანისი

## გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 47 08
30/07/2020

**დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ უძრავი ქონების ( სასოფლო-სამეურნეო) დანიშნულების მიწის ნაკვეთების პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით გაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' 61-ე მუხლის მე-2-ე პუნქტის, 122-ე მუხლის მე-4 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, მე-2 პუნქტის, 26-ე მუხლის, 36-ე მუხლის მე-2-ე პუნქტისა და დმანისის მუნიციპალიტეტის მერის 21/07/2020 წლის N07/2639 წერილის შესაბამისად, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

**გადაწყვიტა:**

1. მიეცეს თანხმობა დმანისის მუნიციპალიტეტის მერს, გასცეს პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით იჯარით, 1 (ერთი) წლის ვადით, დმანისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს.კ 82.05.45.250, დაზუსტებული ფართობით 22303,00 კვ.მ, და საიჯარო ქირად განისაზღვროს 187 (ასოთხმოცდაშვიდი) ლარი წელიწადში, ასევე გასცეს პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით იჯარით 1 (ერთი) წლის ვადით, სოფელ გომარეთში მდებარე ს.კ 82.05.45.251 მიწის ნაკვეთი ფართით 8635.00 კვ.მ, საიჯარო ქირად განისაზღვროს 72 (სამოცდათორმეტი) ლარი წელიწადში.
2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის განმავლობაში ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბოლნისი სულხან საბას ქ. N113).

მერაბ ოქრიაშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე